ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: სოციოლოგია

ნანო ალავიძე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პრობლემა თბილისში

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო დურგლიშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალიზაციის პრობლემებს თბილისში. ჩემი მიზანი იყო მეკვლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციისთვის ხელისშემშლელი ბარიერები. კერძოდ, მეკვლია შშმ პირების ჩართულობა საზოგადოებაში, ისევე როგორც სამეგობრო წრესა და ოჯახურ გარემოში. ნაშრომის ფარგლებში განხილული არის თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები, ასევე დაფიქსირებული არის რჩევა-რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასურველი იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის ხელშეწყობაში. როგორც კვლევამ აჩვენა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის უმთავრესი პრობლემაა განათლების მიღება, ისევე როგორც დასაქმებისა და გადაადგილების სირთულე (იგულისხმება არაადაპტირებული შენობები/ქუჩები/ტრანსპორტი). ეს ყოველივე კი ართულებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პროცესს. კვლევაში გამოიკვეთა ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც შშმ პირებს ექმნებათ სხვადასხვა პრობლემები. რაც შეეხება გადაჭრის გზებს, გამოიყო შემდეგი: სახელმწიფომ მეტად უნდა იზრუნოს საზოგადოების, მშობლებისა თუ საჯარო მოხელეების ცნობიერების გაზრდაზე შშმ პირთა შესახებ, ასევე მეტად უზრუნველყოს ადაპტირებული გარემო, უკეთ იზრუნოს, რომ შშმ პირთათვის გაიზარდოს განათლებისადმი ხელმისაწვოდომა და ასევე, დაეხმაროს ამ ადამიანებს დასაქმებასა თუ უკვე არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში.

სარჩევი

- შესავალი 4
- თემის აქტუალურობა 4
- კვლევის მიზანი 4
- კვლევის საგანი 5
- კვლევის მეთოდები და შერჩევა 5
- ლიტერატურის მიმოხილვა 6
- თბილისის სტატისტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ .. 14
- სოციოლოგიური თეორიები 15
- თვისებრივი კვლევა 19
- სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემთა ანალიზი 19
- რაოდენობრივი კვლევის შედეგები 24
- დასკვნა 30
- რჩევა-რეკომენდაციები: 31
- გამოყენებული ლიტერატურა 32

შესავალი

თემის აქტუალურობა

XXI საუკუნეში, კვლავ აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალიზაციის პრობლემები თბილისში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში. სახელმწიფოს ენიჭება უდიდესი როლი, რომ უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განათლების მისაღებად, ისევე როგორც სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადაპტირებული გარემო, სადაც შშმ პირები შეძლებენ სოციალიზაციას და იქნებიან ისეთივე ფუნქციურები, როგორებიც არიან სხვა დანარჩენი. აღსაღნიშნია, რომ ერთ-ერთ უმთავრეს როლს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პროცესში თამაშობს საზოგადოების დამოკიდებულებები. ეს დამოკიდებულებები კი უნდა შეიცვალოს და შშმ პირი საზოგადოებამ არ უნდა აღიქვას როგორც - განსხვავებული. სხვადასხვა კვლევა ცხადყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პროცესში უდიდეს ბარიერს წარმოადგენს საზოგადოება. იმ შემთხვევაში თუ დაძლეული იქნება აღნიშნული ბარიერი, შშმ პირებს მიეცემათ საშუალება, რომ იქცნენ საზოგადოების სრულფასოვნად წევრებად, იყვნენ მეტად ფუნქციურები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იყოს მათი თითოეული ინტერესი თუ შეხედულება.

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს, თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციისთვის ხელისშემშლელი ბარიერების შესწავლა. კერძოდ კი იმის დადგენა, თუ რა პრობლემები ხვდებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორ უმკლავდებიან ისინი არსებულ წინააღმდეგობებს. ამ შემთხვევაში, შემდეგი ამოცანები დავისახე მიზნის მისაღწევად. ესენია:

1) იმ დაბრკოლებებისა და პრობლემების გარკვევა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები აწყდებიან უშუალოდ სწავლების პროცესში.
2) საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ.
3) დავადგინოთ, რამდენად არის გარემო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საჭირო მოწყობილობებით და რამდენადაა მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა რესურსები (ჯანდაცვის/განათლების /გართობის რესურსი და ა.შ)

კვლევის საგანი

წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით მსჯელობა მოხდა თბილისში მცხოვრებ ადამიანებთან, რომლებსაც ახლო კავშირი აქვთ/არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან.

კვლევის მეთოდები და შერჩევა

მოცემული კვლევითი ნაშრომის მოსამზადებლად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საკვლევის საკითხის შესასწავლად, თვისებრივი კვლევის ფარგლებში შევარჩიე სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი - ონლაინ გამოკითხვის მეთოდი.

ლიტერატურის მიმოხილვა

დღესდღეობით, თანამედროვე ეპოქაში, ყველა დემოკრატიული სახელწიფოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყოველი ადამიანისთვის. მათ შორის უმნიშვნელოვანესი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალიზაცია მათ გარშემო არსებულ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ პროცესებში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან ის ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა ტრამვის, დაავადების, ფიზიკური თუ გონებრივი დეფექტების შედეგად ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები აქვთ დარღვეული. ეს ყოველივე იწვევს პროფესიული უნარების ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვას. ამ ყველაფერს კი ადამიანი მიჰყავს ქმედითუნარიანობის მუდმივ ან დროებით შეზღუდვამდე და ასევე, ისეთ საჭიროებამდე როგორიც არის სოციალური დაცვა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები განიცდიან სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ეს სირთულეები შესაძლოა იყოს: სოციალური, ინტელექტუალური, ფიზიკური, ემოციური და სხვა მდგომარეობით, თუმცა ყველა მოზარდი თანაბარი განათლების მიღების უფლებას იმსახურებს. ინკლუზიური განათლება სწორედ გამომდინარეობს აქედან, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შესაძლებლობათა მიუხედავად ყველა სკოლის ასაკის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვას.

“გზამკვლევი მასწავლებლებისთვის” - წიგნში გადმოცემული არის ის თუ ინკლუზიური განათლება რას გულისხმობს. მოცემული წიგნიდან ვარკვევთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მხოლოდ და მხოლოდ საკლასო ოთახში ყოფნასა და მის თანატოლებთან გარკვეული დროის გატარებას არ გულისხმობს ინკლუზიური განათლება. თავის მხრივ, ინკლუზიური განათლება სკოლის მუდმივ შრომას მოითხოვს იმისათვის, რომ განავითაროს და გააძლიეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობები. ხელი

შეუწყოს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და მოსწავლეების ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

“ინკლუზიური განათლების პრინციპები” - მოცემულ წიგნში ინკლუზიური განათლების სხვადასხვა პრინციპი არის განხილული და ასევე, გაანალიზებული არის ისიც, რომ არაერთი სარგებელი მოაქვს ინკლუზიურ განათლებას და აქვს თავისი უპირატესობებიც. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ინკლუზიური განათლება თავაზობს:

1) შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა საკლასო ოთახებში ბავშვებს აძლევს საშუალებას იმისას, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ საკუთარი თავი.

2) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ხდება მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლება თანაკლასელებთან ურთიერთობით, ისევე როგორც საკლასო ოთახში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებში ჩართვით.

3) კლასელებთან ურთიერთობისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები სწავლობენ თავიანთი ასაკისათვის შესაფერის ქცევებს რეალურ სიტუაციებში. აღსაღნიშნია, რომ 2004 წელს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში არსებული რეფორმის მიხედვით, სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარდა ინკლუზიური განათლების განვითარება. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დაისახა მიზნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში შეთანხმებული, ერთიანი სტრატეგიების ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელ საკანმომდებლო, მეთოდოლოგიურ და ადმინისტრაციულ ცვლილებებს უნდა ასახავდეს ამ სფეროში.

სტატიაში - “ ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში “ სპეციალური მასწავლებლის შესახებ არის საუბარი. მოცემული ანგარიშიდან ნათელია, რომ საქართველოს კანონში უზუსტო ჩანაწერი გაჩნდა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მასწავლებლის თაობაზე. მოგვიანებით, 2010 წ-ის დეკემბრში კანონში შევიდა ცვლილება და შეიცვალა ეს ჩანაწერი. ამჟამად, გამოყენებული არის შემდეგი ტერმინი “სპეციალური მასწავლებელი” და ის განმარტებულია შემდეგნაირად - მასწავლებელი, რომელიც სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე)

მოსწავლეებს ეხმარება და ასწავლის საგანმანათლებლოს პროცესებში ჩართვას როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ტრენინგებს სპეციალური მასწავლებლებისთვის ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (2016, ჭანტურია) შეზღუდული შესაძლებლობა არის სხვადასხვა დარღვევისა თუ დაზიანების შედეგად გამოწვეული უნარის ქრონიკული ან დროებითი შეზღუდვა ფსიქიკურ ან ფიზიკურ სფეროში, რაც უმნიშველოვანესად მოქმედებს ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება ერთი მხრივ ინდივიდის სამედიცინო დიაგნოზს ეფუძნება, ხოლო მეორე მხრივ კი ინდივიდის ფუნქციონირების დონის ანალიზს. (2009, პაჭკორია) საყურადღებოა, რომ დღესდღეობით ყოველი სკოლა არის ვალდებული, რომ მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. შემდეგი კანონი - "ზოგადი განათლების შესახებ" - აღიარებს, რომ ზოგადი განათლებისადმი ხელმისაწვდომობა ყველას უნდა ჰქონდეს თანაბრად და შესაბამისად, სკოლებს ავალდებულებს, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ინდივიდებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს შესთავაზოს ხარისხიანი განათლება და ასევე, შეუქმნას მათ ადეკვატური პირობები ინკლუზიური განათლებისათვის. დღესდღეობით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩარიცხული არის 390 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019 წელი) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო დღედ მიღებული არის 3 დეკემბერი. ეს დღე დაარსა გაერომ და მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, რომ ყურადღება კიდევ ერთხელ გაემახვილებინა იმ მრავალწლიან უგულვებელყოფასა დისკრიმინაციაზე, რომელსაც მუდმივად განიცდიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენს ქვეყანაშიც მოქმედებს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, რომელიც ცვლის შეზღუდული შესაძლებლობების გააზრებას და მას აფუძნებს ადამიანების უფლებებზე, პიროვნების ნების ავტონომიურობის პრინციპსა და პიროვნების ღირსებაზე. ეს ყოველივე ნიშნას, რომ დასაქმების, განათლების მიღების, სოციალურ აქტივობებში ჩართვის უფლება აქვს ყველას, თუმცა

ჩვენს ქვეყანაში ახლა ინერგება ინკლუზიური განათლება და ბევრ ბარიერსაც აწყდება იგი. სკოლები არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მასწავლებლებიც არ არიან შესაბამისად გადამზადებულები.

აღსაღნიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი დამოკიდებულებით მსჯელობენ სახელმწიფოს განვითარებაზე, ისევე როგორც სამოქალაქო ღირებულებებსა და მის ცნობიერებაზე. შეიმჩნევა, რომ საკმაოდ დაბალია საქართველოში თანაგრძნობის ხარისხი. თუ რეალობას გავუსწორებთ თვალს, დავინახავთ, რომ ნაკლებად სოლიდურები არიან ადამიანები და მანამ არ აპროტესტებენ არსებულ სიტუაციას, სანამ თავადვე არ შეაწუხებთ ის. ეს ყოველივვე ასე იყო ადრეც და ნაწილობრივ, კვლავ ამგვარად გრძელდება. ვებრძვით იმ ნაშთებს, რომელიც წარსულიდან გადმოგვყვა. სახელმწიფოს მხრიდან მიდგომები შეიცვალა, თუმცა ამ ცვლილებათა მიუხედავად განსხვავებულობა კვლავ პრობლემად აღიქმება დღევანდელ საქართველოში. ეს ყველაფერი კი აფერხებს რეალურ ცვლილებებსაც. აღსაღნიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იყვნენ დისკრიმინირებულები სსრკ-ს პერიოდშიც. ამ ადამიანებს მალავდნენ საკუთარი ოჯახის წევრები და მათ საზოგადოებაში არ აჩენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა მიდგომები დღევანდელ საქართველოში კვლავ პრობლემად აღიქმება განსხვავებულობა, რაც ცალსახად ვლინდება უმცირესობის მიმართ დამოკიდებულებაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არსებულ ცვლილებებთან ერთად ვითარდება სამოქალაქო კულტურაც. განსაკუთრებული ტოლერანტული დამოკიდებულება გაჩნდა როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ასევე სხვა უმცირესობათა მიმართ დასავლური, უფრო ზუსტად კი ევროინტეგრაციის მისწრაფებათა გავლენით. დღეს, მეტი ყურადღება ექცევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაფინანსებას, ამ ადამიანებისთვის უკეთესი პირობების შექმნას, ასევე ინკლუზიური განათლების სისტემაც ინერგება. ცნობილია ის ფაქტი, რომ ევროპასა და ამერიკაში დაცული არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები. ჩვენს ქვეყანაშიცაა იმის მცდელობა, რომ მოხდეს ამ ადამიანების სოციალიზაცია. ქვეყნის ინტერესებში შედის, რომ შექმნას

განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც ადამიანების ფუნდამენტური უფლებები იქნება დაცული.

გაეროს ადამიანთა უფლებების კონვენციის (2006წ.) მიხედვით, მონაწილე სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის მისაღწევი სტანდარტით ისარგებლონ, შეზღუდული შესაძლებლობების გამო დისკრიმინაციული მიდგომის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება იმისა, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ჯანდაცვის სფერო. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები გენდერულ სპეციფიკასაც ითვალისწინებენ. მეტი კონკრეტიკისათვის, ეს სახელმწიფოები უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს ჯანდაცვის თანასწორი ხარისხის, სტანდარტებისა და დონის უფასო პროგრამებითა და მომსახურებებით, მათ შორის არის როგორც სექსუალური, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფერო ასევე, საზოგადოებრივი პროგრამები, რომელიც მოსახლეობაზეა გათვლილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ჯანდაცვის სფეროს აუცილებელი მომსახურებებით უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომსახურებათა ორგანიზება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს ხდება. ჯანდაცვის სფეროში ჩართულ ადამიანებს მოეთხოვებათ, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს გაუწიონ თანაბარი ხარისხის მომსახურებები. ეს ყოველივე კი უნდა ხდებოდეს ინფორმირებული თანხმობის შემდეგ. გარდა უფლებათა ჩამონათვლისა , ეს კონვენცია ქვეყნებს ამ უფლებების რეალიზებისა და განხორციელების მექანიზმებსაც სთავაზობს, რომელიც უნდა განავითაროს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა. ამ სახელმწიფოთა შორის კი არის ჩვენი ქვეყანაც, რომელიც ცდილობს, რომ დარგოს ზემოაღნიშნული სტანდარტები ევროინტეგრაციის გზაზე.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების საკითხი. იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ირჩინონ თავი

მათ ესაჭიროებათ შემოსავალი. აღსაღნიშნია, რომ კონკურენცია ბაზარზე საკმაოდ მაღალია, ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი კი შესაძლოა იყოს არასრულფასოვანი განათლება. მართალია, რომ სახელმწიფომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში, თუმცა სამწუხაროდ ის არ არის ხელმისაწვდომი ყველასათვის. ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ის არაერთი სტერეოტიპი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს ხელს უშლის, რომ საზოგადოებაში გამოჩნდეს თამამად. უპირველესყოვლისა, სტერეოტიპებში ადამიანების დამოკიდებულება იგულისხმება. თვლიან, რომ რადგანაც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გადაადგილება, ისევე როგორც არ შეუძლიათ საუბარი ან არ ესმით. ამ მიზეზების გამო კი სახლში უნდა ისხდნენ. ეს ყოველივე საგრძნობია საზოგადოებრივ ტრანსპორტებში, განათლების მიღების პროცესებსა თუ სამსახურების ძებნის დროს.

შეზღუდული შესაძლებლობების არსებობს შემდეგი ორი ძირითადი მოდელი. ესენია: სამედიცინო მოდელი და სოციალური მოდელი. შეზღუდულ შესაძლებლობებს "სამედიცინო მოდელი" განსაზღვრავს როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობას და განიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობებს. (მაგალითად: ეპილეფსიითა და ართრიტით დაავადებული ადამიანები). რაც შეეხება "სოციალურ მოდელს", ის საზოგადოების შეზღუდვებზე ახდენს კონცენტრაციას. სოციალური მოდელი უსვამს ხაზს საზოგადაოებასა და გარემოს, რომელიც ზღუდავს, არა თუ ინდივიდს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

ხშირ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობები არ არის თვალით ხილული. მაგალითად, ასაკოვან მოსახლეობაში გონებაშეზღუდულობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელიც ყოველ მეოცე 70-80 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მყოფ ადამიანს ეხება და ყოველ მეხუთეს უფრო ზედა ასაკობრივ ჯგუფებში. (Burton&Mitchell 2006). ამ ადამიანებისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა შენობაზე არსებული აბრების, მინიშნებების წაკითხვა და გააზრება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ ადგილებში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ცხოვრებაში არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობა სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებს

დიდ როლს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციაში. ამ ადამიანების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულებები არის შემდეგი: იზოლაცია; სიბრალული; თავის არიდება; გარიყვა; აგრესია; ხშირი დაცინვა; ისევე როგორც გადაჭარბებული დაცვა და ა.შ როგორც აღვნიშნეთ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ხშირ შემთხვევაში საზოგადოება ასვამს დაღს, რაც ნეგატიურად აისახება მათ სულიერ მდგომარეობაზე, ისევე როგორც ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ის სირთულეები, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები აწყდებიან გამოწვეული არის იმ დამოკიდებულებებით, რომელიც საზოგადოებას აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ. ამიტომაც, სწორედ საზოგადოებასა და სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა და ძალა/უნარი იმისა, რომ დაეხმარნონ ამ ადამიანებს იმაში, რომ ისინი იქცნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. შეიმჩნევა, რომ საზოგადოების მხრიდან ჩვენს სოციუმში თანდათან იცვლება განწყობები თუ დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. უმეტესად, იმ ადამიანების მხრიდან, ვისაც უშუალოდ აქვთ შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან სამსახურებში, უნივერსიტეტებსა თუ სკოლებში. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ურთიერთობაც მნიშვნელოვანია. ისევე როგორც მნიშვნელოვანია სტერეოტიპების მსხვრევა, რომ ეს ადამიანები არ არიან უუნაროები. აღსანიშნავია, რომ არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომლებიც ზედმეტ სიბრალულსა და ყურადღებას გამოხატავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. რამაც შესაძლოა, რომ დამანგრევლად იმოქმედოს ამ ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობაზე. საკუთარ თავთან დიდი ბრძოლის შედეგი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაწყვეტილება, რომ იყვნენ აქტიური მოქალაქეები. სახელმწიფო ცდილობს, რომ სხვადასხვა პროექტებით დადებითისკენ შეცვალოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული მიდგომები. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის შემდეგი პროგრამა - "განათლების პროგრამა". ის გულისხმობს სხვადასხვა სფეროში შშმ პირთა ჩართულობას, შესაძლებლობის მიცემას იმ კუთხით, რომ მაქსიმალურად იყვნენ ხელშეწყობილი, რათა მიიღონ ისეთი სრულყოფილი განათლება, როგორიც თავადვე სურთ. ასევე, ჰქონდეთ უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში

დასაქმდნენ, ისარგებლონ გარკვეული შეთავაზებებით სამედიცინო დაწესებულებებში და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათა მოგვარება დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომ გაცილებით ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულები სხვებზე. (ახლობლებსა თუ ოჯახის წევრებზე.) ასევე, დაეხმარება რომ შეძლებისდაგვარად იცხოვრონ დამოუკიდებლად. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები თავადვე აფუძნებენ, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად ძლიერდება. ეს ადამიანები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თავიანთი უფლებები დაიცვან და ასევე, ცდილობენ რომ შეუწყონ ხელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სოციალიზაციის პროცესში. ერთ-ერთი მსგავსი ორგანიზაცია არის "ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის". ამ ორგანიზაციის მიზანია, რომ უზრუნველყოს შშმ პირების უფლებების დაცვა და ადვოკატირება, იმისათვის, რომ საჯარო მომსახურეობების სფეროებზე ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალება. ორგანიზაციას არაერთი სტრატეგიული მიდგომა აქვს არჩეული იმისათვის, რომ დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები. ეს მიდგომები კი მდგომარეობს შემდეგში: 1. გააქტიურება/ჩართულობა - სიტუაციის ანალიზის შედეგად ნათელი არის, რომ ვერც საზოგადოება და ვერც მთავრობა ვერ ახერხებს პრობლემის მასშტაბთა რეალიზებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უარს აცხადებენ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაერთნონ ისე, როგორც საზოგადოების სხვა წევრები სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან მიუწვდომლობის გამო. რეალობისგან მოწყვეტილია ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს არ აქვთ საკუთარი მისწრაფებები თუ მიზნები. ეს ორგანიზაცია კი ამ ადამიანებს აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ღონისძიებებში ჩაერთნონ. იქნება ეს სპორტული, საგანმანათლებლო თუ სხვ. 2. ცნობიერების ამაღლება - თანამედროვე სამყაროში ინფორმაცია მედიის საშუალებით ვრცელდება. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება ამ მიზნისთვის შეიძლება. უნდა აღინიშნოს, რომ დროის სვლასთან ერთად, რადიოს/ტელევიზიისა თუ ბეჭდურ მედიასთან ერთად პოპულარული გახდა სოციალური მედიაც. აღნიშნული ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული და ცდილობს შექმნას სხვადასხვა ვებ რესურსი. ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ

ადამიანებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ მიიღონ ინფორმაცია არა ისე, რომ ეს ადამიანები ქველმოქმედების საგანი არიან, არამედ მიიღონ ინფორმაცია რეალური საჭიროებების შესახებ, რომელიც მათ ნამდვილად აქვთ. 3. თანამშრომლობა - ორგანიზაციის მიზანი არის, რომ ითანამშრომლოს როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ასევე არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

თბილისის სტატისტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ

გაეროს შშმ პირთა უფლებათა დაცვის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სტატისტიკური და ასევე, კვლევითი მონაცემები შეაგროვოს, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე სტატისტიკური ინფორმაციების ცოდნა დაგვეხმარება, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემები და რეალური საჭიროებები წარმოვაჩინოთ. აღნიშნული საკითხით, კერძოდ იმით თუ რამდენი შშმ პირი არის საქართველოში, დაინტერესდა ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს საერთო მოსახლეობის 3%-ს შეადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. აღსაღნიშნავია, რომ სახელმწიფო შშმ პირთა რაოდენობას სოციალური პაკეტის მიმღებების მიხედვით აღრიცხავს. ამიტომ, სავარაუდო არის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რაოდენობა ბევრად უფრო მეტია. 2015 წლის პირველი იანვრის მონაცემების მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 30% ცხოვრობს თბილისში. აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი დედაქალაქში ფიქსირდება. აღსაღნიშნავია ისიც, რომ ეს ინფორმაცია არ არის შშმ პირების შესახებ კეტეგორიების მიხედვით.

სოციოლოგიური თეორიები

განათლება უმნიშვნელოვანესი რამ არის ნებისმიერი ადამიანისათვის. რაც შეეხება ინკლუზიურ განათლებას ის ძირითადად დაფუძნებული არის სოციალურ-კონსტრუქტივისტულ თეორიაზე. ამ თეორიის მიხედვდით, სოციალურად საზოგადოებრივად არის განპირობებული ადამიანის განვითარება. რაც შეეხება გამოცდილებისა თუ ცოდნის მიღებას, ყველაზე ეფექტური გზა არის სხვა ადამიანებთან ინტერაქციის პროცესი. მოზარდების განვითარებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ოჯახი, ისევე როგორც თემისა და განათლების მომსახურეობის მიმწოდებლის მიდგომები და დამოკიდებულებები. ამ თეორიის მთავარი არსი ის არის, რომ მოზარდი სამყაროს შეიმეცნებს დამოუკიდებლად და მას აღიქვამს ინდივიდუალური გზით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემდეგი თეორია - კოგნიტური მოწაფეობის თეორია, რომელიც ეკუთვის როგორფს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ბავშვის შემეცნება მიიღწევა სხვადასხვა კულტურულ ჯგუფთა აქტივობებში ჩართვით. როგორც როგოფი მიიჩნევს, მოზარდი ზრდასრულის წინამძღვრობით ერთვება სწავლების პროცესებში, რომლის დროს ბავშვი ნაკლებად საჭიროებს გარკვეულ მითითებებს, რადგანაც ის უკვე დამოუკიდებლად იღებს საჭირო ინფორმაციებს.

აღსაღნიშნია, რომ განათლების სოციოლოგია მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი დარგია და ის განათლებას იკვლევს სოციალურ ინსტიტუებში. ასევე, იკვლევს მის გავლენას სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურაზე. ზოგ შემთხვევაში, განათლებას ისე განიხილავენ როგორც - პიროვნულ განვითარებას. თუმცა, სოციოლოგია დაინტერესებულია ისტიტუტთა საზოგადეობაში მუშაობის რეალურობით. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორია არის - ფუნქციონალური პერსპექტივა. ამ თეორიის მიხედვით ერთმანეთზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ასპექტი, რაც საბოლოოდ იწვევს საზოგადოების ფუნქციონირებას პროდუქტიულად და ასევე, იწვევს საზოგადოების სტაბილურობას. ფუნქციონალისტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანი და საჭიროც კი არის სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები გავაანალიზოთ სოციალურ კონტექსტებში. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია გავიგოთ

მისი ფუნქციები თუ მნიშვნელობა სოციალურ სისტემათა სიცოცხლის უნარიანობისათვის. ფუნქციონალიზმის მიმდევარი ადამიანები ამტკიცებენ, რომ საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, ისევე როგორც მათი სტაბილურობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი სოციალური ინსტიტუტია განათლება. სწორედ განათლება უწყობს ხელს, როლების გადანაწილებით და ღირებულებების სწავლებით, იდენტურობის განცდას. საზოგადოების უმთავრეს ორგანოდ ფუნქციონალისტები მიიჩნევენ განათლებას. უმნიშვნელოვანესია, რომ სასკოლო სისტემა იყოს მოწესრიგებული და მუშაობდეს გამართულად, ამგვარ შემთხვევაში საზოგადოებაც იფუნქციონირებს გამართულად. ფუნქციონალიზმი მკაფიოდ უსვამს ხაზს სკოლის დადებით ასპექტებს. განსაკუთრებულად კი გამოყოფს სკოლებში სხვადასხვა უნარისა და ასევე, დამოკიდებულებების მნიშვნელობას. სწორედ, რომ საზოგადოების შენარჩუნებას განათლება მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს. განათლება - ეს არის ფორმალური სასწავლო გეგმა, რომელიც შრომისმოყვარე და კვალიფიკაციურ მუშახელს ქმნის.

აღსაღნიშნავია, რომ ფუნქციონალისტური პარადიგმა ტალკოტ პარსონსის, ემილ დიურკემისა და მერტონის სოციოლოგიურ იდეებზე არის დაფუძნებული. პარსონსი - არის ფუძემდებელი ფუნქციონალისტური სკოლისა. ის თვლის, რომ საზოგადოება სისტემას წარმოადგენს, რომელიც აბსოლუტური წონასწორობისაკენ მიისწრაფვის მუდმივად. სწორედ, რომ თვითშენახვის ძირითად პირობას წარმოადგენს ის. პარსონსის თეორიიდან გამომდინარეობს, რომ განათლებას, როგორც ერთ-ერთ სოციალურ ინსტიტუტს ფუნქციები აქვს. ეს ფუნქციები კი მდგომარეობს შემდეგში: აკადემიური ფუნქცია - გულისხმობს ცოდნის გაცემას. სოციალური ფუნქცია - ადამიანების მომზადება, რათა მიიღონ სოციალური როლები. დისტრიბუციული ფუნქცია - ის გულისხმობს საზოგადოებაში ფორმალური განათლების სელექციურ მოქმედებას. ეკონომიკური ფუნქცია - ის გულისხმობს სოციუმის ეკონომიკურ სტრუქტურათა კვლავწარმოებას, ისევე როგორც სპეციალიზაციას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ტალკოტ პარსონსის შეხედულება მასწავლებლების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს სკოლებში და იკვეთება მოსწავლეების მიერ მასწავლებლების მოწონებაში. ეს ყოველივე კი მნიშვნელოვნად

აისახება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების ხარისხზე. როგორც პარსონსი მიიჩნევს, ბავშვი სახლში თავს აიგივებს მის მშობელთან, სკოლაში კი - მასწავლებელთან. ეს შეხედულება ნათლად ასახავს მასწავლებლების მნიშვნელობასა და როლს განათლების პროცესში. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებლები იყვნენ კომპენტენტურები.

დიურკემი - ემილ დიურკემის მიხედვით, საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია განათლების როლი საზოგადოების ღირებულებების, ნორმებისა თუ როლების სწავლებაში. მას მაგალითის სახით მოჰყავს ის, რომ კულტურული ღირებულებები, რომელიც ფართოდ არის საზოგადოებაში გავრცელებული და გადაეცემა თაობიდან თაობას, სწორედ განათლების საშუალებითა და მეშვეობით ხდება. საზოგადოებათა კულტურა ერთმანეთისგან განსხვავდება საზოგადოებების განსხვავებულობის შესაბამისად. ეს კი ნიშნავს, რომ განათლების შინაარსიც არის განსხვავებული. დიურკემი მიიჩნევს, რომ განათლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. ამავდროულად, სოციალურ პროგრესსაც უჭერს მხარს. მოზარდები განათლების მეშვეობით სწავლობენ სხვა ადამიანებთან სოციალიზაციას, რაც თავისმხრივ ქმნის სოციალურ სოლიდარობას. დიურკემის მიხედვით, განათლება ასევე უზრუნველყოფს სააზოგადოების ისტორიის შესწავლასაც. უმნიშვნელოვანესია, რომ ისწავლონ მოზარდებმა, რადგანაც განივითარონ კუთვნილებისა თუ ვალდებულებების გრძნობა იმ სოციალური ჯგუფების მიმართ, რომელსაც წარდმოადგენენ ისინი.

შშმ პირების სოციალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი არის ჩარლზ კულის შემდეგი თეორია - "სარკისებური მე". კული თვლის, რომ ყოველი პიროვნება გარემომცველ სინამდვილესთან ბევრი ურთიერთქმედების საფუძველზე ყალიბდება. სწორედ სხვების დამოკიდებულებები და ასევე, წარმოდგენები არის მნიშვნელოვანი სოციალიზაციის პროცესში. ამ ურთიერთქმედების პროცესში კი ადამიანები ქმნიან ზემოთაღნიშნულ "სარკისებურ მეს" - ს. ჩარლზ კული თვლის, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის შემდეგი 3 ელემენტი. ესენია: 1) ჩვენ სხვები როგორ აღგვიქვამენ. 2) თუ როგორი რეაგირება აქვთ იმაზე, რასაც ისინი ხედავენ. 3) ჩვენ მიერ აღმქმულ სხვების რეაქციებს როგორ ვპასუხობთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით,

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პირობა არის სოციალიზაცია და ასევე, განათლების მიღება თანატოლებთან ურთიერთობის მეშვეობით. ამ ყოველივეს ცხადყოფს შემდეგი თეორია - "სოციალურ-კონსტრუქტივისტული თეორია". აღნიშნული თეორიის მიხედვით საზოგადოებრივად, სოციალურად არის განპირობებული ადამიანების გავითარება, რაც შეეხება სხვა ადამიანებთან ინტერაქციას, ის უზრუნველყოს როგორც გამოცდილების, ასევე ცოდნის მიღებას. ვიგოტსკის შეხედულების მიხედვით კი, სოციალური ინტერაქცია ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, რომ დააკვირდეს სხვადასხვა პროცესებს, იდეეებს და კარგად გააანალიზოს თითოეული მათგანი.

როგორც იმრი და ჰოლი მიიჩნევენ, განვითარების პროცესი და დიზაინი თავის მხრივ დისკრიმინაციულიცაა და შემზღუდავიც. ისინი თვლიან, რომ ინკლუზიური დიზაინი პროცესებსა და დამოკიდებულებებს ისევე ეხება, როგორც პროდუქტებს. მათი აღმოჩენით, სამშენებლო გარემოს პროფესიონალების დიდ ნაწილს არ აქვთ სრული ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების შესახებ და ამ საჭიროებებზე ზრუნვას იწყებენ მაშინ, როდესაც ამას ავალდებულებთ კანონმდებლობა. იმრისა და ჰოლის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სამშენებლო გარემოდანაც არიან გაუცხოვებულები, მსგავსად სოციალური და განვითარების პროცესებისა. თუმცა, აღსაღნიშნია რომ თუ კანონმდებლობა ითხოვს მაღალ სტანდარტთა გათვალისწინებას, დეველოპერებიც ნაკლებად რეზისტენტულები არიან. გარდა ამისა, ურბანული დიზაინის კონტექსტში, გარემოს შეზღუდული შესაძლებლობები გულისხმობს როგორც სოციალური შეზღუდული შესაძლებლობების ასევე, იმის გააზრებას თუ რაში არის გარემო შემზღუდავი. დიზაინი არა თუ გამრიყავი/სეგრეგაციული უნდა იყოს, არამედ ინკლუზიური. (კაჭკაჭიშვილი, 2014).

თვისებრივი კვლევა

სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 სიღრმისეული ინტერვიუ და როგორც გამოიკვეთა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სოციალიზაციისთვის ბევრი ხელისშემშლელი ბარიერი არსებობს. ამ კუთხით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად კვლავ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა რჩება. საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებებსა და მათთან ჯანსაღი დამოკიდებულებების წესებთან დაკავშირებით. ადამიანის სოცილიაზაცია ოჯახით იწყება, შემდეგ მას ემატება საბავშვო ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი და ა.შ თუმცა, როგორც ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება ისეთი პროფესიის წარმომადგენლებსაც კი როგორიც არიან მასწავლებლები, ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ამაღლება. ამას რესპონდენტების პასუხებიც ადასტურებს:

“საკმაოდ ბევრი ადამიანი, მათ შორის არაერთი მასწავლებელიც კი თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს არ შესწევთ უნარი იმისა, რომ აითვისონ ის მასალა, რასაც ითვისებენ სხვა “ჩვეულებრივი ბავშვები”, ამიტომაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში სწავლა არ არის სწორი. ამ კატეგორიის მასწავლებლები თვლიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი ვერ იქნება სრულფასოვანი მოსწავლეების რიგებში, რადგანაც მაგალითად კონკრეტული ბავშვი გადაადგილდება ეტლით.”

ერთ-ერთი რესპონდენტი “როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, მყავდა კლასელი, რომელსაც ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი. მასწავლებლები კი მის მშობელს მუდმივად ეუბნებოდნენ, რომ დავალებას არა თუ მისი შვილი, არამედ თავად მშობელი აკეთებდა” - ერთ-ერთი რესპონდენტი

რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მასწავლებლების ამგვარი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მიმართ არა მხოლოდ არასამართლიანი, არამედ დამამცირებელიცაა, რაც ნათლად გამოხატავს მასწავლებელთა არაპროფესიონალიზმსა და არაჰუმანურობას. მასწავლებლებს უშუალო შეხება აქვთ მომავალი თაობების აღზრდასთან, მათგან ამგვარი დამოკიდებულება კი დამღუპველია.

ინტერვიუს დროს, რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ იმაზე, რომ ტიპური განვითარების ბავშვების მშობლებს, აგრესიული დამოკიდებულება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ. მათ არ მოსწონთ, რომ თავიანთ შვილებთან ერთად სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა - *"მქონდა შემთხვევა, როდესაც არა მხოლოდ ჩემი შვილის, არამედ ჩემ მიმართაც მიგვრძნია აგრესია კლასელების მშობლებისგან".*

ერთ-ერთი რესპონდენტის ბევრად მძიმეა, იქედან გამომდინარე, რომ მას არათუ შვილის კლასელებსა და მათ მშობლებთან შეექმნა დაძაბული სიტუაცია, არამედ სკოლის დირექციასთანაც. სამწუხაროდ, ადმინისტარაცია მხარს უჭერდა მშობლების აზრს და უარს ამბობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სკოლაში სწავლაზე. მიზეზად კი ასახელებდა იმას, რომ ეს მოზარდი ვერ მიხედავდა საკუთარ თავს, რაც ცუდი მაგალითი იქნებოდა მისი კლასელებისათვის.

" არ მქონდა მოლოდინი, რომ მსგავსი პრობლემები შემექმნებოდა სკოლაში კლასელის მშობელთან თუ დირექციასთან. თუმცა, უთანხმოების შემდეგ სოციალური მუშაკებისა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის უდიდესი ძალისხმევის შედეგად შევძელით, რომ სკოლის დირექტორს გამოეყო მასწავლებელი, რომელიც ჩემს შვილს ასწავლიდა. ვფიქრობ, რომ განათლება ყველა ადამიანის უფლებაა და ჩემი შვილიც, მინიჭებული უფლებით იღებს განათლებას".

რესპონდენტების პასუხებიდან მნიშვნელოვანი იყო მათი დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოზარდების მიმართ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მაგალითად დაასახელა ბავშვი, რომელსაც აუტისტური სპექტრი აქვს და მას ახასიათებს შფოთვები. ეს მოზარდი ხდებოდა უმართავი ჯგუფში, რომელშიც ბევრი ბავშვი სწავლობდა მასთან ერთად. მოზარდი კლასელების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცეოდა, რაც სასწავლო პროცესს შლიდა. აღნიშნული რესპონდენტი მასწავლებელია და აღნიშნა, რომ თავდაპირველად ამგვარ შემთხვევას გამოუცდელი შეხვდა. თანაც, ამ დროს სკოლაში არ იყო სოციალური მუშაკი, ისევე როგორც ფსიქოლოგი თუ სპეციალური მასწავლებელი, რომლებსაც ექნებოდათ შესაძლებლობა, რომ დახმარებოდნენ რესპონდენტს. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ის მწვავე პრობლემა, რაც სასწავლო დაწესებულებებში დგას. კერძოდ, იგულისხმება ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და სპეციალური მასწვლებლების არ არსებობა საგანმანათლებლო სივრცეებში.

ინტერვიუების პროცესში რესპონდენტების პასუხები შემდეგ კითხვაზე გაიყო ორად: რამდენად შეცვალა დისტანციურმა სწავლამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციაში არსებული პრობლემები - ნაწილი მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად ნაყოფიერი იყო, რადგან აგრესიული ქმედებები ვერ იქნებოდა სკოლებში საგაკვეთილო პროცესებში. ნაწილი კი თვლის, რომ დისტანციური სწავლება ხელს შეუწყობდა ტრანსპორტირების პრობლემის გადაჭრას. სწავლების ამგვარი ფორმა, განსაკუთრებით მისასალმებელი იქნება ეტლით მოსიარულე პირებისათვის. რაც შეეხება ხარისხს, რესპონდენტთა აზრით, ის არ არის დამაკმაყოფილებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მშობელია. მშობელთა თქმით, სწავლების დისტანციურმა ფორმამ არა თუ გადაჭრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციაში არსებული პრობლემები, არამედ მეტად გააღრმავა ისინი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ შშმ მოზარდები მეტად ჩაკეტილები და ასოციალურები

გახდნენ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის არაადაპტირებული გარემო. აღინიშნა, რომ შშმ პირები ყოველდღიურად იტანჯებიან იმის გამო, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ პანდუსებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, თუნდაც საგანმანათლებლო სივრცეში ან მეგობრებთან მისვლა მატერიალურ სახსრებთან არის დაკავშირებული. მხოლოდ ტრანსპორტირებაში საერთო ჯამში საკმაოდ დიდი თანხა ესაჭიროებათ. მატერიალური პრობლემა კი უარყოფითად მოქმედებს მოსწავლისა თუ სტუდენტის ჩართულობაზე სასწავლო პროცესებში. ამ საკითხზე საუბრის დროს, ერთ-ერთი რესპონდენტი დემოტივაციასაც შეეხო, რაც მისი აზრით, მჭიდრო კავშირშია სამომავლო კარიერასა და პროფესიაში საკუთარი თავის დამკვიდრებასთან. - " ჩვენს სოციუმში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის თავის დამკვიდრება ორჯერ უფრო რთულია. რაც ვფიქრობ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აღნიშნული მდგომარეობა დემოტივიზაციის მთავარი მიზეზი შესაძლოა, რომ გახდეს. თუმცა, მიმაჩნია, რომ შშმ პირებმა თავიანთი მაქსიმუმი უნდა გააკეთონ და პირველ რიგში თავად შეუწყონ ხელი თავიანთ თავებს სოციალიზაციის პროცესში. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალური კომფორტი იყოს სასწავლო დაწესებულებებსა თუ ღია სივრცეებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ხშირად არსებული რეალობა არ შეესაბამება მოლოდინებს.

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: "დღესდღეობით, გარე სივრცეებში გვხდება შედარებით მეტი პანდუსი, რაც გულისხმობს, რომ გადაადგილებაც შედარებით გამარტივებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ჩემი დაკვირვებით, სოციუმის დამოკიდებულებაც გამოსწორდა და უფრო დადებითი გახდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. ვისურვებდი, რომ აღნიშნული პროგრესი შენარჩუნდეს და სამომავლოდაც ამგვარად გაგრძელდეს. წინა წლებს თუ შევადარებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ

მიმღებლობას, შევნიშნავთ, რომ პროგრესი საგრძნობია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ შემეცნებით აქტივობებში, რითაც ცდილობენ, რომ ხელი შეუწყონ ჰარმონიული გარემოს შექმნას შშმ პირებისთვის. გარდა ამისა, აღსაღნიშნავია, რომ ახლა გაცილებით მარტივია შშმ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა წინა წლებთან შედარებით, ისევე როგორც არსებული უნარ-ჩვევების გაძლიერება. თუმცა, სხვა კუთხითაც რომ შევხედოთ, კვლავ არაერთი ხარვეზი არსებობს სისტემაში,მაგრამ მცირე პროგრესს მაინც განიცდის ქვეყანა და ეს ფაქტიც დასაფასებელია.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა თბილისის სრულწლოვანი (18 წლის ან მეტი ასაკის) მოსახლეობა. გამოკითხვა განხორციელდა ონლაინ მეთოდის მეშვეობით. კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი იყო სტრუქტურირებული კითხვარი. შერჩევის მოცულობა - 119 რესპონდენტი. რაოდენობრივ მონაცემთა დამუშავება განხორციელდა პროგრამა IBM SPSS statistic 23-ის მეშვეობით. მონაცემთა ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ აღწერითი სტატისტიკის მეთოდები. ინფორმაციის წარმოდგენისას გამოყენებულ იქნა ვიზუალიზაციის საშუალებები (ცხრილები, დიაგრამები და ა.შ.). შერჩევის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ ზოგად ტენდენციებს.

გამოკითხვაში მონაწილეთა შედეგები ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:1) 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 64.7% 2.) 25-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 26.9% 3) 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 5% 4) 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 3.4 % 5) 55+ წლის ასაკობრივი ჯგუფი - 0%.



გამოკითხულ რესპონდენტთა შორის 70.1%-ს წარმოადგენდნენ ქალები, ხოლო 29.9%-ს კაცები.



გამოკითხულმა რესპონდენტებმა დააფიქსირეს, რომ აქვთ: 1. სკოლამდელი განათლება - 2.5% 2. დაწყებითი განათლენა - 1.7% 3. საბაზო ზოგადი განათლება - 17.6% 4. სრული ზოგადი განათლება - 42% 5. ბაკალავრის ხარისხი - 27.7% 6. მაგისტრის ხარისხი - 7.6% 7. დოქტორანტურის ხარისხი - 0.8%.



გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად ითვლება ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევის მქონე

პირი. შედარებით მცირე ნაწილი კი თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად ითვლება ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირი.

გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, 98.3% თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ზრუნვა არის მთავრობის მოვალეობა. მცირე ნაწილი, კერძოდ 1.7% თვლის, რომ ეს არის მთავრობის კეთილი ნება.



გამოკითხულ რესპონდენტთა ინფორმაციით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გათვალისწინებული არის: 1)სამედიცინო მომსახურების მიწოდება - 39.7% 2) საყოველთაო ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამები - 26.7% 3)სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა - 22.4% 4) სხვა - 11.2%



გამოკითხული რესპონდენტები სახელმწიფოს ჩართულობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პროცესში ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - "სრულიად უარყოფითად",ხოლო 5 ქულა - "სრულიად დადებითად" აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 8.4%. 2 ქულა - 25.2%. 3 ქულა - 37.8%. 4 ქულა - 17.6%. 5 ქულა - 10.9%



გამოკითხული რესპონდენტები 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - "არ არის საკმარისი" , ხოლო 5 ქულა - "სავსებით საკმარისია", შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ არსებული ზრუნვის სააგენტოების ჩართულობას შშმ პირთა

სოციალიზაციის ხელშეწყობაში აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 11%. 2 ქულა - 28%. 3 ქულა - 37.3%. 4 ქულა - 20.3%. 5 ქულა - 3.4%

გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - “არის” , ხოლო 5 ქულა - “არ არის” , თბილისის ქუჩები, შენობები, ინსფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული არის: 1 ქულა - 5.9%/ 2 ქულა - 26.3%. 3 ქულა - 24.6%. 4 ქულა - 22%. 5 ქულა - 21.2%.





გამოკითხული რესპონდენტები მუნიციპალური სერვისების შეთავაზების აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - “არ არის უცილებელი”, ხოლო 5 ქულა ნიშნავს - “აუცილებელია” , აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 0.8%. 2 ქულა - 5.9%. 3 ქულა - 9.3%. 4 ქულა - 12.7%. 5 ქულა - 71.2%.

გამოკითხული რესპონდენტები ჯანდაცვის სერვისების შეთავაზების აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს -”არ არის აუცილებელი”, ხოლო 5ქულა ნიშნავს -”აუცილებელია”, აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 0.8%. 2 ქულა - 4.2%. 3 ქულა - 4.2%. 4 ქულა - 13.6%. 5 ქულა - 77.1%.

გამოკითხული რესპონდენტები განათლების სერვისების შეთავაზების აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - “არ არის აუცილებელი”, ხოლო 5 ქულა ნიშნავს - “აუცილებელია”, აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 0.8%. 2 ქულა - 4.2%. 3 ქულა - 5.1%. 4 ქულა - 12.7%. 5 ქულა - 77.1%.

გამოკითხული რესპონდენტები გართობის სერვისების შეთავაზების აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ხუთ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა ნიშნავს - “არ არის აუცილებელი” , ხოლო 5 ქულა ნიშნავს -”აუცილებელია”, აფასებენ შემდეგნაირად: 1 ქულა - 0.9%. 2 ქულა - 4.5%. 3 ქულა - 7.1%. 4 ქულა - 12.5%. 5 ქულა - 75%.

დასკვნა

მოპოვებული მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ძირითადი პრობლემები, რაც ხელს უშლით მათ სოციალიზაციის პროცესში. განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმაციულობის სიმცირე. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამართლდა კვლევის ძირითადი მოლოდინები. გამოიკვეთა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საკუთარ თავებს არ თვლიან საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირებულებად. ამის მიზეზი კი მდგომარეობს შემდეგში: არაადაპტირებული გარემო, ისევე როგორც საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ და მთავარი - ინფორმირებულობის ნაკლებობა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მეტ-ნაკლებად არიან სტიგმატიზირებულები. ეს კი განსაკუთრებულად შეიმჩნევა მაშინ, როდესაც ისინი საზოგადოებაში ხვდებიან და სოციუმისგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. ისინი საზოგადოებისგან გრძნობენ სიბრალულის განცდას, ასევე მათ ესმით სხვადასხვა ტიპის რეპლიკები, რაც რა თქმა უნდა, მათთვის არის შეურაცხმყოფელი. როგორც კვლევის შედეგებიან გამოიკვეთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სოციალიზაციის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არის - მათი მდგომარეობა. გარდა ამისა, აღვნიშნავ, რომ კვლევითი ნაწილის ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი რამ - სკოლები გასულ წლებთან შედარებით აქტიურად არის ჩართული, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სოციალიზაციას შეუწყონ ხელი როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე ზოგადად, საზოგადოებაში. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მხოლოდ სკოლის მოსწავლეები არ არიან, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სხვა შშმ პირთათვისაც აღმოიფხვრას ის ძირითადი პრობლემები თუ ბარიერები, რაც ხელს უშლით მათ, რომ სრულფასოვნად ჩაერთნონ სოციალიზაციის პროცესებში.

რჩევა-რეკომენდაციები:

- ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სახელმწიფომ შეუწყოს ხელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირთა სოციალიზაციას.
- სასურველია, რომ მასწავლებელთა გადამზადებები და ტრენინგები უზრუნველყოს სახელმწიფომ ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით.
- სასურველია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სახელმწიფომ გაზარდოს დღის ცენტრების დაფინანსება, რადგანაც დღის ცენტრები ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის პროცესს.
- მნიშვნელოვანია, რომ ქალაქში დაიგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალურ ჩართულობასა და მათ სოციალიზაციას.
- ვფიქრობ, აუცილებელია, რომ გამოიყოს როგორც დამატებითი ფინანსური ასევე, ადამიანური რესურსები, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საგანმანათლებლო სფერო თუ ღია სივრცეები სრულფასოვნად აღიჭურვოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაჭკაჭიშვილი ი. „სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება“ https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/kachkachishvili_socialuri_sivrce_da_urbanuli.pdf?fbclid=IwAR3IAEhmomwmXpR3ufoy9ROoErr8154BfcDInrq3l0j29iYGg7oIf7ZB6ls
2. გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმლემენტაციის გაიდლაინი. (UNCRPD)
3. პაჭკორია, თ (2011) გვ 188, ინკლუზიური განათლება, ცნებები და ტერმინები
4. სოციალური სამართლიანობის ცენტრი https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-mushaobis-profesiis-roli-shshm-pirebis-damoukidebeli-tskhovrebis-uflebis-datsvashi
5. სოციალიზაცია (n.d) http://socium.ge/downloads/socshesavali/socializacia.pdf
6. განათლების ფუნქციონალისტური პერსპექტივა - სოციოლოგია (2015)
7. https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0951832013000926
8. ქეცბაია, კ (2014). განათლების სოციოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“
9. World Vision Georgia (2014). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებების კვლევა
10. https://ombudsman.ge/geo/informatsia-shezghuduli-shesadzleblobis-mkone-pirebistvis
11. სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018წ https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14999.pdf
12. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. (1989) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0&fbclid=IwAR0K1X8lO0gI35fg3SkQ4awm-l-aurBzJHzMC6GKJJCtUbEZdcu0VBiHGU0
14. მ. კუკავა. (2022). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტირება.
15. ინკლუზიური განათლების მეთოდოლიგიური და თეორიული საფუძვლები. (2021)
16.ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი (2018). ამბიონი საზოგადოებრივ-რელიგიონი ინტერნეტჟურნალი http://www.ambioni.ge/inkluziuri-ganatlebis-danegvis-procesi?fbclid=IwAR00CivjWHTx4nskTLxIoKVIGze69K8O8Tm_joRZjYbZnM_vW0BullTY1hQ
17.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა (2021). https://www.economy.ge/uploads/files/2017/news/2021/shezguduli_shesadzleblobebismqone_pirta_uflebebis_dacvis_khelsheckoba_2021.pdf
18. მახარაძე თ. (2017) „ შშმ პირთა და ბავშვთა დღის ცენტრების სტანდარტების დახვეწა„
19. „ინკლუზიური სწავლები ხელშეწყობა“ - ინკლუზიური განათლება(2019)
20. თარხნიშვილი ნ. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემები“

(2016)
21. კუდავა მ, ანფიმიადი დ, გოდუაძე მ - „მასწავლების წიგნი“ (2018)